არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი"

სენაკი, რუსთაველის 237 **მობ: 577451110; 0413 27 54 41. ს/კ. 239892452**
axalgazrdobisadakulturiscentri@gmail.com **vip.natia1976 @gmail.com**

№26 14 მარტი 2025 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერს

ბ-ნ ვახტანგ გადელიას

ბატონო ვახტანგ,

თქვენი 13.03.2025 წლის №40-402507236 მომართვის პასუხად გეგზავნებათ ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი"-ს ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

დანართი 28 ფურცელზე.

პატივისცემით,

ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი"-ს დირექტორის მ/შ: ნ. ეჯიბია

ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი"

2024 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

შინაარსი

1. **გაწეული მომსახურება და შედეგები;**
2. **სკოლისგარეშე შემოქმედებითი და საგანმანათლებლო მომსახურება: ბიბლიოთეკები, მუზეუმები, კულტურის სახლი, სოფლის კლუბები, სახვითი ხელოვნების გალერეა.**
3. **ღონისძიებები და პროექტები;**
4. **ფინანსური ანგარიში.**

1. გაწეული მომსახურება და შედეგები

წლის განმავლობაში მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი კოორდინაციაში იყო მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან, რომელიც თანამედროვე პრაქტიკის გათვალისწინებით, ახალგაზრდებს თავისუფალ და არაფორმალურ გარემოში, მრავალფეროვან და შემოქმედებით სერვისებს სთავაზობს. ცენტრი მუდმივად კოორდინაციას უწევს მასში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებს, რომელიც მოიცავს: 16 ბიბლიოთეკას, მათ შორის 1 ცენტრალური, 15 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი ბიბლიოთეკა, ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თეოფანე დავითაიას სახელობის მუზეუმი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის მუზეუმი, კულტურის სახლი, 2 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი კლუბი, სახვითი ხელოვნების გალერეა, ფოლკლორის ცენტრის ფილიალი.

ცენტრში ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:

1. მხატვრული კითხვის სექცია - 9 (უფასო);
2. ეკოლოგიისა და ეკოტურიზმის სექცია - 8 (უფასო);

3. საესტრადო საკრავების ინსტრუმენტთა სწავლების სექცია - 15;
4. სპორტული ცეკვების სწავლების სექცია - 12 (ფასიანი);
5. ქართული ხალხური ცეკვების სწავლების სექცია:
   პედაგოგი - თ. გუგუნავა - 54 (ფასიანი)
   პედაგოგი - გ. კორშია - 136 (ფასიანი)
6. საესტრადო სიმღერების სწავლების სექცია - 23;
7. საესტრადო მუსიკალური ბენდი ,,აკუსტიკა'' – 11 (უფასო);
8. საბავშვო თეატრალური სკოლა-სტუდია - 12 (ფასიანი);
9. ახალგაზრდული თეატრი ,, ფიროსმანი'' - 21;
10. ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,კოლხი''- 22 (უფასო);
11. მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ქართული ხალხური ცეკვების მუნიციპალური ანსამბლი - 14;
12. ტურიზმის განვითარების სექცია - 19 (უფასო);
13. წიგნის მოყვარულთა სექცია - 5 (უფასო);

ჩარიცხული მოსწავლეებიდან, ადგილობრივი ბიუჯეტის მოთხოვნის შესაბამისად, (შეღავათების პროგრამა) გადასახადიდან განთავისუფლებულია 53 სოციალურად დაუცველი მოსწავლე, სწავლის საფასური გაუნახევრდა 16 დევნილს, ოჯახიდან ორი ან მეტი მოსწავლის შემთხვევაში გადასახადი ნახევრდება, რომლითაც მიმდინარე წელს ისარგებლა 76 მოსწავლემ. ცენტრში ირიცხება 1 შშმ მოსწავლე.

სოციალური დასაქმების სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში დასაქმებულია 29 ბენეფიციარი.

ანსამბლები და მათი მიღწევები

მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში ფუნქიონირებს 4 ანსამბლი:

1. ,,კოლხური ტრიო'';
2. ,,ფოლკლორული ანსამბლი ,,ეგრისი'';
3. ვაჟთა ანსამბლი ,,მუსიკელი'';
4. მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ქართული ხალხური ცეკვების მუნიციპალური ანსამბლი.

ანსამბლმა ,,კოლხურმა ტრიომ'' წლის მანძილზე მუნიციპალიტეტში დაგეგმილ არაერთ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა: მნიშვნელოვანია მათი მონაწილეობა ფაზისის აკადემიის დაარსების დღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, ,,ნინო რეხვიაშვილის გამომცემლობის'' მიერ გამართულ ქალებისადმი მიძღვნილ წიგნების პრეზენტაციაზე, ტრადიციული მუსიკის ფესტივალ ,,ნანინაში''და ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე.

ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,ეგრისმა'' მიმდინარე წელს სხვადასხვა ფესტივალსა და ღონისზიებაზე მიიღო მონაწილეობა, ხოლო ვაჟთა ანსამბლი ,,მუსიკელი'' საგასტროლო ტურნეთი იმყოფებოდა გერმანიასა და ბელგიაში, სადაც ქართული მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით ჩაატარეს არაერთი კონცერტი და მასტერკლასი, ასევე ურთიერთთანამშრომლობის მიზნით ვუმასპინძლეთ ლატვიის ქალთა ანსამბლ ,,უნდინესს'' და ანსამბლ ,,მუსიკელთან'' ერთად დიმიტრი ჯაიანის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ფოლკლორული მუსიკის საღამო.

ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,კოლხმა'' მონაწილეობა მიიღი ხობის მუნიციპალიტეტში გამართულ კლასიკური გიტარის, ფოლკლორული ანსამბლებისა და ქართული ხალხური ცეკვების კონკურს-ფესტივალ ,,ჰარიდაში''. ანსამბლს ზემოთხსენებულ ფესტივალზე მიენიჭა პირველი ხარისხის პრემია და ლაურეატის წოდება.

2. საგანმანათლებლო/შემეცნებითი მომსახურება

2.1 ბიბლიოთეკები

მოგახსენებთ, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის შემადგენლობაში შედის ბიბლიოთეკები, რომლებიც დაკომპლექტებულია შესაბამისი განათლების მქონე კადრებით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი პირველ რიგში იმისთვის იქმნება, რომ ემსახუროს წიგნიერებას და წიგნის პოპულარიზაციას. ახორციელებს სკოლისგარეშე საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროექტებს.

დღეისათვის ბიბლიოთეკის სტრუქტურულ ერთეულს შეადგენს აბონემენტი, საბავშვო ფონდი, საცნობარო ბიბლიოგრაფიული, კულტურული პროგრამების სექტორი და

დამუშავება-დაკომპლექტების სექტორი. მათ გააჩნიათ მუშაობისა და ღონისძიებების ჩატარების წლიური სამუშაო გეგმა, რომელთა შესრულებას აკონტროლებს ადმინისტრაცია.

საჯარო ბიბლიოთეკის ორგანიზებით ჩატარდა 31 თემატური ღონისძიება, 25 გამოფენა და ყოველწლიური საბიბლიოთეკო კვირეული. კვირეულის ფარგლებში თითოეული ბიბლიოთეკარი დასაჩუქრდა სასაჩუქრე ვაუჩერებით.

ცენტრის დაფინანსებით ბიბლიოთეკარებმა გაიარეს ტრენინგ-კურსები, რომელიც ჩაატარა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ, ასევე ზუგდიდის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრმა საჯარო ბიბლიოთეკარებისთვის ჩაატარა ორდღიანი ტრენინგი.

ცენტრში შემავალი ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი მუდმივად იზრდება. მიმდინარე წელს შეძენილ იქნა 6000 ლარის წიგნი და 4994 ლარის ჟურნალ-გაზეთები.

2024 წლისთვის წიგნადი ფონდი შეადგენს 157996 წიგნს, აქედან საჯარო ბიბლიოთეკაში განთავსებულია 41353 წიგნი, მათ შორის საბავშვო ბიბლიოთეკის ფონდში ირიცხება 12080 .

ადმინისტრაციულ ერთეულებში განთავსებული ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი შეადგენს 104563 წიგნს.

2.2 მუზეუმები

როგორც მოგეხსენებათ მუზეუმი შესწავლის, განათლების მიზნით ან ვიზუალური სიამოვნებისთვის იძენს, ინახავს, იკვლევს და გამოჰფენს ადამიანთა შემოქმედებისა და მათი გარემოს აღმწერ ფაქტებზე არსებულ მნიშვნელოვან მასალას. სწორედ ამ დანიშნულებას ასრულებს ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმი და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თეოფანე დავითაიას სახელობის მუზეუმი და არნოლდ ჩიქობავას სახელობის მუზეუმი.

მიმდინარე წელს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ეწვია 1084 დამთვალიერებელი, ჩატარდა 7 ღონისძიება. მუზეუმს შემოწირულობის სახით გადაეცა 135 ნივთი. ამ დროისთვის მუზეუმის ფონდში ირიცხება 6814 ნივთი.

ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმს ესტუმრა 1084 (როგორც ვიზიტორი, საექსკურსიო და ინდივიდუალური) დამთვალიერებელი. ჩატარდა 3 მნიშვნელოვანი ღონისძიება და 2 გამოფენა. მათ შორის აღსანიშნავია ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას

დაბადებიდან 80 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი.

არნოლდ ჩიქობავას სახელობის სახლ-მუზეუმის ფონდის ექსპონანტების რაოდენობა 2024 წლის მონაცემებით შეადგენს 321 ნივთს, ხოლო საექსკურსიო და ინდივიდუალურ დამთვალიერებელთა რიცხვმა შეადგინა 665.

თეოფანე დავიათაიას სახელობის სახლ-მუზეუმში დაცულია 662 ექსპონატი, ხოლო საექსკურსიო და ინდივიდუალურ დამთვალიერებელთა რიცხვმა მიმდინარე წელს შეადგინა 128.

მოგეხსენებათ, რომ მაისის თვეში აღინიშნება მუზეუმების საერთაშორისო დღე. ამ დღესთან დაკავშირებით თითოეულ თანამშრომელს გადაეცა სიმბოლური ფასიანი სასაჩუქრე ვაუჩერი.

2.3 სახვითი ხელოვნების გალერეა

სახვითი ხელოვნების გალერეა ემსახურება სხვადასხვა თაობის მხატვრების შემოქმედების საზოგადოებისათვის გაცნობას, სადაც დამთვალიერებლებს შეუძლიათ მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია წარმოდგენილი ნამუშევრებისა და მათი ავტორების შესახებ.

სახვითი ხელოვნების გალერეაში ჩატარდა 8 გამოფენა და საერთო ჯამში დამთვალიერებელთა რაოდენობამ შეადგინა 1420. ფონდში ინახება 313 ექსპონატი.

აღსანიშნავია, რომ სახვითი ხელოვნების გალერეის გახსნიდან 45-ე წლისთავთან დაკავშირებით ფონდში არსებული ნახატების კატალოგი დაიბეჭდა. (100 ცალი კატალოგი)

3. ღონისძიებები და პროექტები

ცენტრში ყოველწლიურად ახალგაზრდები სხვადასხვა ფორმით და მეთოდით, სკოლისგარეშე და დამატებით განათლებას იღებს. მასში არსებული საგანმანათლებლო სერვისები მრავალფეროვანია და კონკრეტულ მიზნებს ეფუძნება.

მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სექციები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, გალერეა, კლუბები, ფესტივალები და სხვა აქტივობები მოზარდებში ზრდის სამოქალაქო თვითშეგნებას, ხელს უწყობს თავისუფალი, შემოქმედებითი თუ სხვა უნარების

განვითარებას, თვითრეალიზაციასა და სამომავლო პროფესიების შერჩევას. კულტურის ცენტრი, როგორც ახალგაზრდებისათვის მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, მიზნად ისახავს ახალ თაობას ღირსეული პარტნიორობა გაუწიოს და ამით ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს.

2024 წლის მანძილზე ჩატარდა არაერთი ღონისძიება და აქტივობა. მათ შორისაა მასშტაბური ღონისძიებები. კერძოდ: შემოქმედებითი ანსამბლების მონაწილეობით კონცერტი ,,მე შენ დაგიკრეფ იებს'', მიუზიკლი ,,ვერის უბნის მელოდიები'', მუზეუმების საერთაშორისო და ეროვნული სამოსის დღისადმი მიძღვილი ღონისძიება, საერთო სახალხო დღესასწაული ,,ეგრისობა'', ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას დაბადებიდან 80 წლის იუბილეს აღნიშვნა, ცენტრში არსებული ახალგაზრდული ბენდი ,,აკუსტიკას'' სოლო კონცერტი (წლის მანძილზე 3 კონცერტი), მთელი წლის მანძილზე ტურისტული კლუბი ,,მწვანე მოლაშქრეებისა'' და ეკოკლუბის ,,მწვანე ერთობის'' მიერ ჩატარდა არაერთი ღონისძიება და გასვლითი, შემეცნებითი ტური.

აკაკი ხორავას სახელობის დრამატულ თეატრთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე თეატრალური სტუდიის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს სპექტაკლ ,,ჩიპოლინოს თავგადასავალში'' და ასევე მთელი წლის მანძილზე აქტიურად იყვნენ ჩართულები თეატრში გამართულ სხვადასხვა სპექტაკლებში.

მოსწავლე-ახალგზრდობისა და კულტურის ცენტრში რეგისტრირებული მოსწავლეები, მოტივაციის ამაღლებისა და პოპულარიზაციის მიზნით, სასწავლო წლის ბოლოს, დაჯილდოვებულ იქნა სერთიფიკატებითა და სიგელებით.

აღსანიშნავია, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით, აპრილის თვეში შეიქმნა მუნიციპალური ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომლის მთავარი ქორეოგრაფი გახლავთ გიორგი კორშია. ანსამბლმა პირველი სოლო კონცერტი გამართა ჯგუფ ,,ურსასთან'' ერთად და მაყურებლის წინაშე წარდგა მრავალფეროვანი ქართული ხალხური ცეკვის პროგრამით.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მიმდინარე წელს ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერების ანსამბლ ,,მართვესა'' და მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრს შორის ერთობლივი პროექტებისა და სხვა აქტივობების განხორციელების მიზნით, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და დიმიტრი ჯაიანის სახელობის დარბაზში გაიმართა ,,მართვეს'' სოლო კონცერტი ,,ეს სიმღერაა საქართველოსი''.

2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ღონისძიებების საერთო რაოდენობამ შეადგინა 90.

იხ. დანართი:1 ღონისძიებების ჩამონათვალი

ვიდეო და ფოტო მასალა განთავსებულია სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის „Facebook" გვერდზე.

ჩატარებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები

მუნიციპალიტეტის მერიის თანადგომით, სახვითი ხელოვნების გალერეის შენობა სრულიად აღიჭურვა საგამოფენო სივრცისათვის მახასიათებელი ინდივიდუალური განათების სისტემით.

მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დიმიტრი ჯაიანის სახელობის დარბაზში მოეწყო შესაბამისი ზომის გათბობა-გაგრილების სისტემა.

4. ფინანსური ანგარიში

იხ. დანართი: 2

დანართი 1

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში
დაგეგმილი და ჩატარებული
კულტურული ღონისძიებები
(2024 წელი)

N	ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა	ჩატარების თარიღი	ჩატარების ადგილი	დახარჯული თანხა	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	მუნიციპალიტეტში გამართულ საშობაო ალილოზე მონაწილეობა	7 იანვარი	სენაკის მუნიციპალიტეტი	0	გურანდა შამათავა	
2	საქართველოს სახელმწიფო დროშისა და ქართული თეატრის დღე	14 იანვარი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი	0	ცენტრის ადმინისტრაცია	
3	მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობა მუნიციპალიტეტში დაგეგმილ საახალწლო კონცერტზე	იანვარი	სენაკის მუნიციპალიტეტი	0	გურანდა შამათავა	
4	ანსამბლ ,,ეგრისის" მონაწილეობა"საქველმოქმედო მარათონზე - ,,სათნოების კალათა"	15 იანვარი	სენაკის მუნიციპალიტეტი	0	ინეზა ღვინჯილია	
5	ბენდი ,,აკუსტიკას" კონცერტი	16 იანვარი	სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის საკონცერტო დარბაზი	2000 ლარი	დათო ხუნწარია	

6	სპექტაკლი ,,ჩიპოლინოს თავგადასავალი" ცენტრის თეატრალური სტუდიის აღსაზრდელთა მონაწილეობით	23 იანვარი	სენაკის მუნიციპალიტეტი აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრში	1590 ლარი	სოფი ჩალაშვილი	
7	საანგარიშო კონფერენცია	25 იანვარი	სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა	0	ლუიზა კემულარია	
8	მსოფლიო ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის დღე - ცენტრის ეკოკლუბ ,,მწვანე ერთობის" აქტივობა	2 თებერვალი	სენაკის მუნიციპალიტეტი სახვითი ხელოვნების გალერეა	0	ნინო ჭიჭაღუა	
9	წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე	7 თებერვალი	სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა	0	ლუიზა კემულარია	
10	ტურისტული კლუბის ,,მწვანე მოლაშქრეების" პრეზენტაცია	8 თებერვალი	სენაკის მუნიციპალიტეტი სახვითი ხელოვნების გალერეა	865 ლარი	ნატალია წულაია	
11	ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის ორგანიზებითა და ცენტრის მხარდაჭერით გამართული კონცერტი	21 თებერვალი	სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	0	ცენტრის ადმინისტრაცია	

12	ეკოკლუბ „მწვანე ერთობის" მიერ გამართული აქტივობა - „ეკოთამაშები"	29 თებერვალი	სენაკის მუნიციპალიტეტი სახვითი ხელოვნების გალერეა	0	ნინო ჭიჭაღუა	
13	მუსიკალური სტუდიის „ოქროს ნოტების" მონაწილეობით ღონისძიება „გაზაფხულის ყვავილები"	5 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი	1460 ლარი	სალომე ბერიშვილი	
14	სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის შემოქმედებითი ანსამბლების მონაწილეობით, კონცერტი „მე შენ დაგიკრეფ იებს"	6 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი დიმიტრი ჯაიანის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი		გურანდა შამათავა	
15	დედისა და ქალთა დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ღონისძიება	6 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა	125 ლარი	ლუიზა კემულარია	
16	აქტივობა- დედისა და ქალთა დღე	6 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი	576 ლარი	ცენტრის ადმინისტრაცია	
17	ჟიული შარტავას 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება	6 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა	0	ლუიზა კემულარია	
18	ჟიული შარტავა - 80 წელი	7 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი ჟიული შარტავას მუზეუმი	0	ნანა ფირცხალავა	

19	ჟიული შარტავასა და აფხაზეთის ომში დაღუპულ გმირთა ბიუსტების გვირგვინებით შემკობა	7 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი	190 ლარი	გურანდა შამათავა	
20	ტურისტული კლუბის ,,მწვანე მოლაშქრეების" სტუმრობა საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის მე -2 ქვეით ბრიგადაში	14 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის მე -2 ქვეით ბრიგადა	50 ლარი	ნატალია წულაია	
21	ანსამბლის ,,კოლხური ტრიო"-ს მონაწილეობა ,,ნინო რეხვიაშვილის გამომცემლობის" მიერ გამართულ ქალებისადმი მიძღვნილ წიგნების პრეზენტაციაზე	14 მარტი	საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა	250 ლარი	გურანდა შამათავა	
22	,,მწვანე ერთობის" მიერ გამართული აქტივობა - გამწვანების აქცია	18 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორია	0	ნინო ჭიჭაღუა	
23	,,მზის შვილების" დღის აღნიშვნა	21 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი	350 ლარი	გურანდა შამათავა	
24	დასუფთავების აქცია - ეკოკლუბი ,,მწვანე ერთობა"	25 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი	0	ნინო ჭიჭაღუა	

25	ქართველი აკადემიკოსისა და პროფესორის, დამსახურებული მოღვაწის, თეოფანე დავითაიას ხსოვნის საღამო	28 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი ჟიული შარტავას მუზეუმი	0	დამირი კუჭავა	
26	სასკოლო თეატრალური ოლიმპიადის საზეიმო გახსნაზე, კონკურსგარეშე მონაწილეობა თეატრალური სკოლა-სტუდიის აღსაზრდელების მიერ ნოდარ დუმბაძის სპექტაკლით - ,,HELLADOS გაკვეთილი"	30 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	0	სოფი ჩალაშვილი	
27	ეკოკლუბი ,, მწვანე ერთობა" სტუმრად სენაკის საზოგადოების ჯანდაცვის ცენტრში	5 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი საზოგადოების ჯანდაცვის ცენტრი	0	ნინო ჭიჭაღუა	
28	35 წელი 9 აპრილის ტრაგედიიდან - მუნიციპალიტეტში დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობა	9 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი	100 ლარი	გურანდა შამათავა	
29	9 აპრილი - ფოტოგამოფენა	9 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა	0	ლუიზა კემულარია	

30	დედაენის დღისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა	12 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა	0	ლუიზა კემულარია	
31	დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	12 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორია	451 ლარი	გურანდა შამათავა	
32	დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - ,,ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ!"	17 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი საბავშვო ბიბლიოთეკა	0	ნინო გვასალია	
33	ტურისტული კლუბის „მწვანე მოლაშქრეები"-ს გასვლითი აქტივობა	18 აპრილი	ქ. ბორჯომი	400 ლარი	ნატალია წულაია	
34	შოუ პროგრამა (კონცერტი-მიუზიკლი)	19 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი	873 ლარი	სალომე ბერიშვილი	
35	დედამიწის დღე - ეკოკლუბი ,,მწვანე ერთობა"	22 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი	797.6 ლარი	ნინო ჭიჭაღუა	

36	საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნა	23 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა	0	ლუიზა კემულარია	
37	წიგნის ჩუქების დღე	23 აპრილი	მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორია	0	გურანდა შამათავა	
38	კლასიკური გიტარის, ფოლკლორული ანსამბლებისა და ქართული ხალხური ცეკვების კონკურს-ფესტივალ „ჰარიდა“-ში მონაწილეობის მიღება	28 აპრილი	ხობის მუნიციპალიტეტი	100	გიორგი კორშია	
39	საბიბლიოთეკო კვირეულის დასრულება	1 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციული ერთეულების ბიბლიოთეკები	0	ლუიზა კემულარია ადმინისტრაციული ერთულების ბიბლიოთეკების სპეციალისტები	
40	ანსამბლ ,,კოლხური ტრიოს" მონაწილეობა ქალტა ფესტივალ ,,ნანინაში"	16 მაისი	ქ. თბილისი	300 ლარი	გურანდა შამათავა	

41	ოჯახის სიწმინდის დღესთან დაკავშირებით გამართულ აქტივობაში თანამონაწილეობა	17 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი	0	გურანდა შამათავა	
42	მუზეუმების საერთაშორისო დღე და ეროვნული სამოსის დღე	18 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტინ ოქალაქევის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორია	15187,75 ლარი	გურანდა შამათავა	
43	ღია გაკვეთილი თემაზე - ,,ხელოვნება და მუზეუმი".	20 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობი ს მუზეუმი	0	დამირი კუჭავა	
44	ბიომრავალფეროვნებ ის დღესთან დაკავშირებით, ეკოკლუბ ,,მწვანე ერთობის" გასვლითი აქტივობა	23 მაისი	ქ. ბათუმი	400	ნინო ჭიჭაღუა	
45	ტურისტული კლუბის ,,მწვანე მოლაშქრეების" მიერ შიდა მეგობრული ტურნირის კალათბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში დაწყება	23 მაისი	სენაკიას მუნიციპალიტეტის პორტის სასახლის დარბაზი	0	ნატალია წულაია	

46	26 მაისისადმი მიძღვნილი თემატური ღონისძიება	25 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტის აჯარო ბიბლიოთეკა	0	ლუიზა კემულარია	
47	მუნიციპალიტეტში 26 მაისისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში თანამონაწილეობა	26 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი	2834 ლარი	გურანდა შამათავა	
48	ტურისტული კლუბის ,,მწვანე მოლაშქრეების" მიერ შიდა მეგობრული ტურნირის კალათბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში დასრულება	28 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტის პორტის სასახლის დარბაზი	0	ნატალია წულაია	
49	ანსამბლ ,,მუსიკელის" მონაწილეობა ფესტივალზე	1 ივნისი	ბოლნისი	400 ლარი	გურანდა შამათავა	
50	ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	1 ივნისი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დიმიტრი ჯაიანის საკონცერტო დარბაზი	1060 ლარი	გურანდა შამათავა	

51	გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – შალვა დადიანის დაბადებიდან 150-ე წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება	5 ივნისი	სენაკის მუნიციპალიტეტი სოფ.ბერთემი	0	დამირი კუჭავა	
52	ღონისძიება ,,ბავშვები ჩვენი მომავალია"	7 ივნისი	სენაკის მუნიციპალიტეტი ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის კლუბი	0	ვენერა ხახუბია	
53	ბავშვთა თოჯინების თეატრი სპექტაკლებით: ,,წითელქუდა'' და ,,ბატის ჭუკი''	12 ივნისი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დიმიტრი ჯაიანის საკონცერტო დარბაზი	0	ინეზა ღვინჯილია	
54	ღია გაკვეთილი ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი წრის აღსაზრდელებთან	17 ივნისი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი	0	გიორგი კორშია	
55	სასწავლო წლის დასრულებასთან დაკავშირებით, ცენტრის სხვადასხვა სექციის აღსაზრდელთა დაჯილდოვება სერთიფიკატებითა და სიგელებით	19 ივნისი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დიმიტრი ჯაიანის საკონცერტო დარბაზი	450 ლარი	გურანდა შამათავა	

56	ტურისტული კლუბის ,,მწვანე მოლაშქრეების" წევრების მიერ გამართული მეგობრული შეხვედრა ფეხბურთში	26 ივნისი	სენაკის მუნიციპალიტეტიმ ოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საფეხბურთო მოედანი	0	ნატალია წულაია	
57	ქართული ხალხური ცეკვების მუნიციპალური ანსამბლის პირველი სოლო კონცერტი ჯგუფ ,,ურსასთან" ერთად	27 ივნისი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორია	15031 ლარი	გურანდა შამათავა გიორგი კორშია	
58	ანსამბლ ,,კოლხური ტრიოს" მონაწილეობა ფაზისის აკადემიის დაარსების დღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე	30 ივნისი	ქ. ფოთი	150 ლარი	გურანდა შამათავა	
59	ტურისტული კლუბის ,,მწვანე მოლაშქრეების" შემეცნებით-საგანმანათლებლო აქტივობა	4 ივლისი	წყალტუბოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტებ ი	300 ლარი	ნატალია წულაია	
60	„ქართული კუთხეების ფესტივალზე" ანსამბლების: ,,მუსიკელი" და ,,ეგრისის" მონაწილეობა	7 ივლისი	თბილისი	0	გურანდა შამათავა	

61	წიგნის - ,,სენაკის მატეანეს" (მეორე ნაწილი) პრეზენტაცია	10 ივლისი	სენაკის მუნიციპალიტეტი ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	0	დამირი კუჭავა	
62	ანსამბლ ,,კოლხური ტრიოს" მონაწილეობა ფოლკლორის საღამოზე	15 ივლისი	ქ.ზუგდიდი	170 ლარი	გურანდა შამათავა	
63	ფოლკლორული მუსიკის საღამო ვაჟთა ანსამბლ ,,მუსიკელისა“ და ლატვიის ქალთა ანსამბლ ,,უნდინესის” მონაწილეობით	23 ივლისი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დიმიტრი ჯაიანის საკონცერტო დარბაზი	399 ლარი	გურანდა შამათავა დიმიტრი კაკულია	
64	რეგიონული თეატრების ფესტივალის ფარგლებში, ცენტრმა დამოუკიდებელი თეატრალური კომპანია ,,გიენოსის'' დასს უმასპინძლა. ნაჩვენები იყო სპექტაკლი - ,,დედა“	27 ივლისი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დიმიტრი ჯაიანის საკონცერტო დარბაზი	0	ცენტრის ადმინისტრაცია	
65	16 წელი გავიდა აგვისტოს ომიდან, ლიტერატურული კომპოზიცია	8 აგვისტო	სენაკის მუნიციპალიტეტი	100 ლარი	ცენტრის ადმინისტრაცია	

66	პოეზიის საღამო	14 აგვისტო	სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა	28.80 ლარი	ლუიზა კემულარია	
67	ბენდის ,,აკუსტიკა" კონცერტი	21 აგვისტო	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ამფითეატრი	0	გურანდა შამათავა	
68	ანსამბლების - ,,კოლხური ტრიოსა" და ,,ეგრისის" მონაწილეობა კომპლექსურ-ფოლკლორულ ექსპედიციაში	23 აგვისტო	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დიმიტრი ჯაიანის საკონცერტო დარბაზი	0	დიმიტრი კაკულია	
69	ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართული ღონისძიება	3 სექტემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი	3200 ლარი	ცენტრის ადმინისტრაცია	
70	ტურისტული კლუბის ,,მწვანე მოლაშქრეების" მიერ აქტივობა - ,,პარკის მნიშვნელობა ტურიზმში, დასვენება და გართობა"	5 სექტემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორია	0	ნატალია წულაია	

71	ცენტრის აღსაზრდელების მიერ შესრულებული ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის სპექტაკლი ,,პატარა უფლისწული"	9 სექტემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დიმიტრი ჯაიანის საკონცერტო დარბაზი	0	გურანდა შამათავა	
72	ავთანდილ (ნოდარ) რეხვიაშვილის ფერწერული ნამუშევრების პერსონალური გამოფენა	12 სექტემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი სახვითი ხელოვნების გალერეა	0	ლერი კართხია	
73	ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ბენდი ,,აკუსტიკას" კონცერტი	16 სექტემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ამფითეატრი	256 ლარი	დავით ხუნწარია	
74	ვიდეორგოლი ,,საახალწლო მეჯლისი"	19 სექტემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი	1500 ლარი	ცენტრის ადმინისტრაცია	
75	ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერის ანსამბლი ,,მართვეს" სოლო კონცერტი - ,,ეს სიმღერაა საქართველოსი"	19 სექტემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დიმიტრი ჯაიანის საკონცერტო დარბაზი	0	გურანდა შამათავა	

76	31 წელი სოხუმის დაცემიდან...	27 სექტემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი ჟიული შარტავას მუზეუმი საჯარო ბიბლიოთეკა	0	ლუიზა კემულარია	
77	ცენტრის აღსაზრდელების მიერ შესრულებული ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის სპექტაკლი ,,პატარა უფლისწული"	30 სექტემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დიმიტრი ჯაიანის საკონცერტო დარბაზი	0	ცენტრის ადმინისტრაცია	
78	შეხვედრა-ბენეფისი სახალხო არტისტთან, ლეო ანთაძესთან	2 ოქტომბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დიმიტრი ჯაიანის საკონცერტო დარბაზი	0	ცენტრის ადმინისტრაცია	
79	ცენტრის მხარდაჭერა მასწავლებელთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში ,,განათლების ელჩები"	8 ოქტომბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დიმიტრი ჯაიანის საკონცერტო დარბაზი	0	ცენტრის ადმინისტრაცია	

80	სახალხო დღესასწაული ,,ეგრისობა"	12 ნოემბერი	პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორია	14321.20 ლარი	ცენტრის ადმინისტრაცია	
81	ტოლერანტობის დღესთან დაკავშირებით ტურისტული კლუბის ,,მწვანე მოლაშქრეების" გასვლითი ტური	14 ნოემბერი	ქ.ახალციხე	460 ლარი	ნატალია წულაია	
82	მეგრული ფოლკლორის საღამო - ,,სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე"	22 ნოემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა	25 ლარი	ლაშა ჭანტურია	
83	მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ეკოკლუბის ,,მწვანე ერთობა" აქტივობა კლიმატის კვირეულთან დაკავშირებით	23 ნოემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტის #3 საჯარო სკოლა და კერძო სკოლა ,,პელაგონი"	0	ნინო ჭიჭაღუა	

84	ანსამბლ „მუსიკელის" გასტროლები	ნოემბერი	საზღვარგარეთ ქვეყნები - გერმანია და ბელგია	3687.53 ლარი	გურანდა შამათავა	
85	ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანი" მონო სპექტაკლი „დედა"	25 ნოემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დიმიტრი ჯაიანის საკონცერტო დარბაზი	0	ვეფხვია გორგოძე	
86	სახვითი ხელოვნების გალერეის გახსნიდან 45-ე წლისთავთან დაკავშირებით ფონდში არსებული ნახატების კატალოგის გამოცემა	28 ნოემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი სახვითი ხელოვნების გალერეა	4738.80 ლარი	ლერი კართხია	
87	ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანი" სპექტაკლით „ახალი წლის ღამე"	23 დეკემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დიმიტრი ჯაიანის საკონცერტო დარბაზი	0	ვეფხვია გორგოძე	

88	ბენდი „აკუსტიკას“ საახალწლო კონცერტი	24 დეკემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დიმიტრი ჯაიანის საკონცერტო დარბაზი	700 ლარი	დათო ხუნწარია	
89	თოჯინების თეატრი სპექტაკლით „წითელქუდა“	26 დეკემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დიმიტრი ჯაიანის საკონცერტო დარბაზი	0	ინეზა ღვინჯილია	
90	წლის შემაჯამებელი საახალწლო ღონისძიება	27 დეკემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დიმიტრი ჯაიანის საკონცერტო დარბაზი	9585 ლარი	გურანდა შამათავა	
სულ თანხა				*85670,58 ლარი*		

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და
კულტურის ცენტრის დირექტორის მ/შ: / ნ. ეჯიბია /

დანართი 2

ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის“

2024 წლის 12 თვეში გაწეული ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიში

2024 წლის 12 თვის ჯამური გეგმა შეადგენდა 1046100 ლარს, ფაქტიურად ჯამურმა ხარჯმა შეადგინა 1041366,96 ლარი.

ხარჯი სუბსიდიის ნაწილში გეგმით შეადგენდა 1004040,0 ლარს. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 999315,0 ლარი.

შრომის ანაზღაურება სუბსიდიის ნაწილში გეგმით იყო 675778,09 ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა 675778,09 ლარი.

მივლინების ხარჯი ქვეყნის შიგნით გეგმით იყო 810 ლარი. ფაქტიურად ხარჯმა შეადგინა 810 ლარი.

მივლინების ხარჯი ქვეყნის გარეთ გეგმით იყო 3687,53 ლარი. ფაქტიურად ხარჯმა შეადგინა 3687,53 ლარი.

შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო გეგმით იყო 68938,32 ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 68938,32 ლარი.

სოციალური დახმარება გეგმით იყო 8281,66 ლარი, ფაქტიურად ხარჯმა შეადგინა 6531,66 ლარი.

შტატგარეშე თანამშრომელთა სოციალური დახმარება გეგმით იყო 271,6 ლარი, ფაქტიურად შეადგინა 271,6 ლარი.

ოფისის ხარჯი გეგმით იყო 71547 ლარი, ფაქტიურად ხარჯმა შეადგინა 70113,98 ლარი. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება სუბსიდიის ნაწილში გეგმით იყო 101008 ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 100504,75 ლარი.

საწვავი გეგმით იყო 7010 ლარი, ფაქტიურად ხარჯმა შეადგინა 6456,15 ლარი.

ტრანსპორტირების მომსახურების ხარჯი გეგმით იყო 100 ლარი, ფაქტმა შეადგინა 100 ლარი.

რბილი ინვენტარი და უნიფორმა გეგმით იყო 15000 ლარი, ფაქტმა შეადგინა 14967 ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა გეგმით იყო 42060 ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 42051,96 ლარი.

2024 წლის 12 თვეში საკუთარი შემოსავლების გეგმა შეადგენდა 33334,80 ლარს, ფაქტიურად ხარჯმა შეადგინა 30634,80 ლარი.

შრომის ანაზღაურება საკუთარი შემოსავლებიდან გეგმით იყო 9279,80 ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 9279,80 ლარი.

საქონელი და მომსახურება გეგმით იყო 14705,0 ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 12005 ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა გეგმით იყო 9350 ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 9350 ლარი.

ნაშთი საკუთარი შემოსავლებიდან 2025 წლის 1 იანვრისათვის არის 3440,20 ლარი.

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლეთ-ახალგაზრდობისა და
კულტურის ცენტრის დირექტორის მ/შ. / ნ. ეჯიბია /

მთ. ბუღალტერი: / მ. ბაღათურია /